https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.04

ცხენის როლი სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაში
THE ROLE OF THE HORSE IN THE WAY OF LIFE OF SAMEGRELO

ნანა აბულაძე
დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
ზუგდიდი. საქართველო

Nana Abuladze
Dadiani Palaces History and Architectural Museum
Zugdidi, Gergia

ABSTRACT

For centuries, the Georgian people have cultivated and developed a horse-riding culture. This document was created using archive materials from the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum, with due consideration given to other relevant sources. In relation to the topic at hand, it is critical to pay special attention to Georgian equestrian folk games, specifically Marula (long-distance horse racing).

Horses have been used for transportation and as horsepower in agriculture. They played a significant role in campaigning and hunting. Hunting was historically thought to be the precursor to military duty because men were physically trained and displayed a variety of skills while hunting.

Within the Samegrelo region, horses were integral to the local way of life. It is clearly demonstrated by materials obtained through archeological excavations, as well as historical records, ethnography, and folk poetry, which undeniably prove the role and significance of horses and horse-riding from the historical past to the present day, while taking into account certain changes.

Thus, having had an important place in the life of the Samegrelo region, horses and horse-riding thereby reflect the distant past. There is no denying that Georgian horseback riding has advanced over time.

საკვანძო სიტყვები: ცხენოსნობის კულტურა საქართველოში, ცხენის როლი სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაში, ცხენოსნური სპორტის სახეობა – მარულა (დოღი), ცხენი ქართულ ფოლკლორში.
Keywords: Horse-riding culture in Georgia, the role of horses in the way of life of Samegrelo, equestrian sport Marula (horse racing), horse in Georgian folklore.

სიმბოლურად და შინაარსობრივად ქანდაკება უკავშირდება დედას, მშობელს, ბავშვის სახით კი შთამომავლობას, სასმისი მასპინძელს, მასპინძლობას და ამავე დროს ვაზსსა და ღვინის კულტურას. მსგავსი სახის ქანდაკებები მსოფლიოში ნაპოვნია ოთხი: ერთი კუნძულ სამოსზე – საბერძნეთში, სამი – კოლხეთში, ორი – ცაიშის სამაროვანზე და ერთი – მუხურჩაში (მარტვილი). მსგავსი ტიპის სკულპტურები ინტერპრეტირებულია, როგორც წინააზიური ღვთაების, ღმერთების დიდი დედის – კიბელეს (ნაყოფიერების ღვთაება) გამოსახულების კოლხური ვარიაციები. ზოგი მეცნიერი მსგავსი სახის ქანდაკებებს ცხენებისა და ცხენოსნობის მფარველ ღვთაებას უკავშირებს (თ. მიქელაძე).

არქეოლოგიური. ფონდსაცავში ინახება ამავე სამაროვანზე 2008 წელს ნაპოვნი ბრინჯაოს ,,მითიური“ ცხენის ქანდაკება (ზომა: 5X4); ასევე, ერგეტის სამაროვანზე აღმოჩენილია (VIII-VII სს.) ბრინჯაოს ცხენის ქანდაკება (დაშლილია). ცხენის კერამიკული ქანდაკება აღმოჩენილია ნაოხვამუს (სენაკი) ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზეც.

ზოგადად, ცხენის გამოსახულებები უხვადაა წარმოდგენილი კოლხური კულტურის სამარხეულ კომპლექსებში და განძების სახით ნაპოვნ ნივთებში: კოლხურ ცულებზე, აბზინდებზე, ბრინჯაოს სარტყლებზე (თლიას სამაროვანი VII ს., სამაჩაბლო). ცხენის გამოსახულებები და სხვა სიუჟეტები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში და მთელს კავკასიაში.

საყურადღებოა ვანში აღმოჩენილი ოქროს საყურეები, რომელზეც გამოსახულია ბორბლებზე შემდგარი ცხენოსანი.

ყაზბეგის განძი (ძვ. წ. V ს.) ოქროს მხედრის გამოსახულებები (ტანსაცმელზე დასაკერებელი ფირფიტები).

არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს ცხენის როლს, რომელიც შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ შინაური ცხენი ყველა კონტინენტზეა გავრცელებული (გარდა ანტარქტიდისა). მოშინაურებულია ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. მე-3 ათასწლეულში). მისი მოშინაურების პირველადი კერებია დნეპრისა და დონის შუა ველები, სამხრეთ ციმბირი და ამიერკავკასია და სხვა. ცნობილია შინაური ცხენის 200 ჯიში (ქსე 1987: 250).

ცხენოსნობა საქართველოში ოდითგანვე არის გავრცელებული. სახალხო დღესასწაულებზე იმართებოდა დოღი, მარულა (ცხენთა რბოლა გრძელ მანძილზე), ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, ჩეხვა, მთიდან დაშვება და სხვა (იქვე: 251).

შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ ქართულ ხალხურ ცხენოსნურ თამაშობებს. კერძოდ, მარულას.

დოღი ჯიშიანი საჯდომი ცხენების გამოცდაა, რომლის მიზანია მათი სისწრაფის, გამძლეობისა და სხვა თვისებების გამოვლენა; ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა, შეჯიბრება იპოდრომზე ან სწორ ადგილზე დისტანციის სწრაფ გავლაში.

საქართველოში დოღი, მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად გამართული ცხენ-მხედართა შეჯიბრება, გავრცელებული იყო ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხევში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვ. (ქსე 1978: 629).

ცხენზე ვარჯიშით იწრთობოდა საქართველოს მიწა-წყლის დამცველი მეომარი-მხედარი. ისტორიულ საბუთებში ვხვდებით ქართული ცხენის აღწერილობას, საიდანაც ჩანს, რომ ის უნდა ყოფილიყო ლამაზი, ტანადი, ენერგიული და სწრაფი (ნაჭყებია 1964: 2).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ყველა კუთხისთვის ცხენოსნობას მნიშნელოვანი ადგილი ეკავა. რა თქმა უნდა, სამეგრელო არ წარმოადგენს გამონაკლისს.

ცხენს იყენებდნენ სატრანსპორტო საშუალებად და გამწევ ცოცხალ ძალად სოფლის მეურნეობაში. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ლაშქრობებსა და ნადირობისას. ოდითგანვე ითვლებოდა ნადირობა სამხედრო საქმის წინაპირობად, რადგანაც ნადირობისას მამაკაცი იწრთობოდა ფიზიკურად და ავლენდა უამრავ უნარ-ჩვევას.

ისტორიული დოკუმენტები და ეთნოგრაფიული ყოფა ინახავს ცნობებს საზოგადოების განვითარების შესახებ..

ცნობილია, რომ „მზითვის წიგნები“ მკაფიოდ ასახავენ ქართველი ხალხის როგორც მატერიალურ ყოფას, ასევე საზოგდოებრივი ცხოვერების ცალკეულ საკითხებს წარსულში. უძველეს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ამ წერილობით დოკუმენტებში დაცულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მატერიალური კულტურის შესწავლისათვის საუკეთესო წყაროა (იაშვილი 1976: 3).

ცხენოსნობა რომ მნიშვნელოვანი დარგი იყო, ამის ნათელ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ მზითვის წიგნი ლევან მეორე დადაინის დის, მარიამის – ქართლის მეფის როსტომის მეუღლისა (1634 წელი).

ჩვენთვის საინტერესო ადგილს მოვიხმობთ, რადგანაც საკმაოდ დიდი გახლავთ აღწერილობა მზითვისა:

საჯინიბოსაგან მოგვიხსენებია:

ერთი კარგი ცხენი მურასა უნაგირითა, მურასას ლაგამითა და სამკერდუითა, ჩაყაფად შეკრულის ასლითა. ამ უნაგერში ზის ყირმიზი იაგუნდი სამასი, და ოთხასი დიდი და წურილი ნიშაური ფირუზა; ლაგამს უზის თვალი ორმოცდახუთი და ოცდახუთი ბალთა.

ამ უნაგერშიგა სხედს თვალები: სამოცდა ოთხი ნიშაური ფირუზა და ორმოცდა ექუსი დიდი ბადახშანი ლალი, სხვას წურილს იაგუნდსა და ლალს გარეთ, მისის მურასა ლაგმითა სამკერდულითა და ჯილავითა.

მეორე კიდევე ჩარყაფად შეკერული ასალი.

მესამე მომარგალიტული უნაგირი მისის მომარგალიტულის იარაღითა

და სამი ოქროქსოილი ბორქალსუნი.

ერთი სარიქიფო ცხენი მისის გაწყობილობითა.

საფარეშო და საბარგო ცხენი ათი.

სამუხლო ცხენი თორმეტი.

ამ ჭელად ეს მოგვირთმევია და ამას უკან ჩვენი თავი და საბატონოს და ჩვენი დარბაისელი მაგათ ჭელთ შემოგჯგდია.

საბუთს ქვემოთ: მარცხენა კიდეზე ბეჭედი წარწერით: ,,ქ. მონა ღთისა დადიანი ლევან ძე ჭელმწიფის მანუჩარისა“.

ბეჭდის მარჯვნივ ხელმოწერა მხედრულად: ლევან.

სია გრძელდება და ჩვენთვის საინტერესო ადგილი შემდეგია:

მოახლე მოგვიხსენებია:

ერთი პატიოსანი, სასახელოთ ზრდილი გამდელი ლერწამტანისა,

ერთის ცხენოსნის მოახლითა, ორი სხვა მოახლითა და ორის მსახურითა.

მეორე მოახლე – პირისფარეში ქაღალდისა, ერთ{ი}ს მისის მოახლითა

მესამე მოახლე – ისახარ, ერთის მისის მოახლითა.

მეოთხე მოახლე წყნარისახარ.

მეხუთე მოახლე ზილფიყარ ერთის მისის მოახლითა (მსსეი 1974: 8-13).

ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ დოკუმენტიდან, რომ მზითვში გატანებულ პირებს სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობა ეკისრებოდათ. ზოგს სამოახლე ხელი ჰქონდა, ზოგი მათგანი პატრონის პირადი მოსამსახურე იყო, ზოგსაც ევალებოდა საქონლის მოვლა. კერძოდ, საგანგებოდ არის მითითებული მოახლე, რომელსაც ცხენის მოვლა ევალებოდა, რითაც გახლავთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ზემოთ მოხმობილი მზითვის წიგნი.

უამრავ ექსპონატს შორის თავს იწონებს დადიანების მუზეუმის ყოფისა და ეთნოგრაფიის ფონდში დაცული დავით დადიანის ვერცხლით მოჭედილი უნაგირები წარწერით ,,დავით დადიანი“ და ცხენის აღკაზმულობანი.

გ. ელიავას ცნობით, უნაგირი მზადდებოდა ყველგან, მაგრამ ყველაზე უფრო მიღებული და ცნობილი იყო აჩიგვარული უნაგირი. იგი ირთვებოდა სპილოს ძვლით, ვერცხლით, მოოქრული ერთეულებით (ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით). უნაგირის ქვეშ უფენდნენ თოქალთოს, რაც შესაძლებლობის მიხედვით იკერებოდა საუკეთესო ქსოვილისაგან. მანდილოსნის ცალუზანგიან უნაგირს, თოქალთოს ქვემოთ უფენდნენ ასალს. ასალი ხავერდის ან სხვა ძვირფასი ქსოვილისგან მზადდებოდა. იქარგებოდა, ძვირფასი თვლებით იმკობოდა (ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით), თვით ცხენზე შემჯდარ მანდილოსანს მუხლებზე და ცხენის ქვედა ნაწილზე ეფინა ამაზორკა, უნაგირისა და მხედრის ზედა შემოსაფენი. ისიც საოცრად ლამაზი და ძვირფასი მზადდებოდა. ეს ყველაფერი ქალის ღირსების ხაზგასასმელად იყო (ელიავა 1989: 34).

ჯიშიანი და მოვლილი ცხენი ოჯახის პატრონს ღირსებას სძენდა, რადგანაც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მასში განივთებული იყო პატრონის ვაჟკაცური და მეომრული სული.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია აფიშა-განცხადება, რომელიც პირველად ქვეყნდება და გთავაზობთ ჩვენთვის საყურადღებო ადგილს:

განცხადება

თანახმად გადაწყვეტილებისა უ. ქუთაისის გუბერნატორისა მე, მმართველი მისისა უმაღლესობის პრინცესსა ს. დ. მიურატის მამულისა, აზ. ა. ნ. ბერიძე ამითი საყოველთაოდ ვაცხადებ, რომელ სენაკის მაზრაში დ. სალხინოს, პრინცესსა მიურატის მამულში... 31-ს აგვისტოს ამ წელშიც გაიმართება ჩვეულებრივი

ცხენების მარულა

პრიზებით: მარულის 50 მ., მეორის 25 მ. მესამის 15 მ.

მმართველი ალექსი ბერიძე 1910 წელი (ზსიემ: 2231).

საინტერესოა ხალხური თამაშის – მარულას წესი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა. უდავოა, რომ მარულა ქართული ცხენოსნური სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მარულაში მონაწილე ცხენებს უშვებენ 25-30 კმ მანძილზე. ამ გზის სწრაფად გარბენა ცხენისაგან მოითხოვს დიდ გამძლეობას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხენის წინასწარ შერჩევას და მომზადებას, რაც მარულას დაწყებამდე 2-3 თვეს გრძელდება.

ცხენებს წვრთნიდნენ საკმაოდ პრიმიტიულად: პერიოდულად მუცლამდე აყენებდნენ წყალში, შემდეგ აფარებდნენ თბილ საფარველს, რომ ცხენი გაოფლიანებულიყო. ცხენში სიმკვირცხლისა და ამტანიანობის განვითარებისთვის სისტემატურად ავარჯიშებდნენ დიდ დისტანციაზე, ამასთან, თანდათან ზრდიდნენ მანძილს.

ქართული ცხენის ასეთი გამოცდა დიდ მანძილზე კიდევ ერთხელ მოწმობს მის განსაცვიფრებელ გამძლეობას. სპორტის ამ სახეობაში უმთავრესად იყენებდნენ დასავლეთ საქართველოში მეგრულ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში თუშური ჯიშის ცხენებს (ნაჭყებია 1964: 17).

საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიხმოთ ხალხური პოეტური ტექსტი, რომელიც ეხმიანება ამ ცხენოსნურ თამაშს. ტექსტი საკმაოდ დიდია და წარმოვადგენთ ჩვენთვის საინტერესო ადგილს:

მარულე	მარულა
ართ მარულეს ოცქვანა დო	ერთ მარულეს აქებენ და
რაშიშა რე გურაფილი	რაშსაა შედარებული,
კოჩიშ თოლიშ უძირაფუ,	კაცის თვალით უნახავი
ცაშე გიმაყუნაფილი,	(და) ციდან ჩამოყვანილი,
სუმ დღას მირულედასგნი,	სამი დღე რომ მირბოდეს,
ხოლო ვა რე შულადირი,	კიდევ არაა დაღლილი,
დავამტკიცით, ოკო რდას	დავამტკიცეთ, უნდა იყოს
რკინა აკონდღულაფირი:	რკინისგან ჩამოსხმული.

მარულა სპორტის უძველესი სახეა ცხენოსნურ შეჯიბრში. ამ შეჯიბრში მონაწილე ცხენსაც მარულას უწოდებენ („მარულე ცხენი“, მორბენალი ცხენი“).

მარულაში მონაწილე ცხენის სახელი იგივე მარულაა (სამუშია 1971; 105).

მეჯინელო ჩელაიას	შეხედულებით თეთრონია
უძახგნა ცოციკას,	ეძახიან ცოციკას,
ის ვაშქურუ ცხენეფშა,	მას ცხენების არ ეშინია,
ვეშქიდანც მორიგას;	არ იკადრებს დათმობას;
ნამუ ჯარც აკათუუნი,	რომელ ჯარშიც გაერევა,
იმსახურენც ღირსებას...	იმსახურებს ღირსებას... (იქვე).

მარულე ფორმა მიღებულია რთული ზმნური ძირისაგან (ნიშნავს „სირბილს“) მა-ე მიმღეობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსით, ე. ი. მა-რულ-ე ზედმიწევნით მრბოლელი, მორბენალია (ბუკია 2006: 19).

მარულას მოწყობა-ორგანიზებაში სამეგრელოში ცნობილი იყვნენ: ქვარცხავები, კვარაცხელიები, ახალაიები, შენგელიები და სხვა. სასოფლო დღესასწაულზე (ხატობა) ეს გვარები ცხენის დოღს (მარულას) გამართავდნენ. ამისთვის შესაწევარ ფულსაც კი აგროვებდნენ. ვინც მარულაში პირველი მივიდოდა, მას წითელი ბაირაღი ეძლეოდა საჩუქრად. შემდეგ ის, ბაირაღით ხელში, ერთს კიდევ გაირბენდა, რომ ხალხს გამარჯვებული ცხენოსანი დაენახა და მისთვის ქება შეესხა (მაკალათია 2006: 281).

დადიანების მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში დაცულ კოლექციებში თვალსაჩინო ადგილს იკავებს XIX საუკუნის მხატვრების: ჰენრი ალკენის, ადამ დელის, თომას ბლინქსის და სხვათა ნამუშევრები.

ამდენად, ცხენი და ცხენოსნობა შორეული ისტორიული წარსულის გამოძახილია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაში. უდავოა, რომ დრომ განვითარების ახალ სიმაღლეებზე აიყვანა ქართული ცხენოსნობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბუკია 2006: ბუკია მ., მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში. თბილისი, 2006.

ელიავა 1989: ელიავა გ., ეთნოგრაფიული სამეგრელო ალბომი. მარტვილი, 1989.

ზსიემ 2231: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ლიტერატურული არქივი, №2231.

იაშვილი 1976: იაშვილი მ., საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (XVII- XIX სს.). თბილისი, 1976.

მაკალათია 2006: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფიული. თბილისი, 2006.

მსსეი 1974: მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა. თბილისი, 1974.

ნაჭყებია 1964: ნაჭყებია კ., ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი. თბილისი, 1964.

სამუშია 1971: სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები. თბილისი, 1971.

ქსე 1978: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III. თბილისი, 1978.

ქსე 1987: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II. თბილისი, 1987.